ასილბეკ კოჟახმეტოვი

დოქტორი ასილბეკ კოჟახმეტოვი არის პირველი კერძო საკუთრებაში არსებული ბიზნეს უნივერსიტეტის დამფუძნებელი ყაზახეთში - Almaty Management University (მანამდე ცნობილი როგორც საერთაშორისო ბიზნეს აკადემია, 1988).
დოქტორმა კოჟახმეტოვმა თავისი პროფესიული მიღწევები სამოქალაქო ჩართულობასა და უმაღლეს განათლებაში გაეროს ინიციატივებზე დააფუძნა, როგორიცაა SDGs, PRME და Academic Impact.
კიროვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (S. Kirov Kazakh State University) მექანიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის (1990წ) და ყაზახეთის ჰუმანიტარული სამართლის უნივერსიტეტის (Kazakh Humanitarian Law University) სამართლის ფაკულტეტის (2010წ) კურსდამთავრებულმა, დოქტორმა კოჟახმეტოვმა, თავი მიუძღვნა ყაზახეთში ბიზნესისა და სამეწარმეო განათლების განვითარებას.

დაუსრულებელი სწავლის იდეის გათვალისწინებით, დოქტორმა კოჟახმეტოვმა დაამთავრა ეკონომიკის უმაღლესი სკოლა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხით (2011წ) და გაიარა საერთაშორისო კვლევითი სტაჟირება ''Bolashak''-ის საპრეზიდენტო სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში ბერკლის უნივერსიტეტის, ჰაასის ბიზნეს სკოლაში (Haas School of Business at Berkeley University) 2013 წელს.

ასილბეკ კოჟახმეტოვი ამჟამად არის 1) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN), სლოვენია, ვიცე პრეზიდენტი ცენტრალური აზიის მხრიდან; 2) The Principles for Responsible Management Education (PRME) საბჭოს წევრი; 3) მენეჯმენტის საკონსულტაციო ინსტიტუტების საერთაშორისო საბჭოს (ICMCI) აკადემიური წევრი; 4) ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი ნდობის ეროვნული საბჭოს წევრი; 5) UNICEF-ის ბიზნეს მრჩეველთა საბჭოს წევრი; 6) კვლევითი მრჩეველი, ყაზახეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი „უნივერსიტეტის მენეჯმენტი - 2020''-ს ფარგლებში; 7) ყაზახეთის მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაციის „EL TIREGI“ წევრი; 8) ყირგიზეთის რესპუბლიკის, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული, საჯარო მმართველობის აკადემიის საპატიო პროფესორი; 9) იურიდიული პირების ასოციაციის „ყაზახეთის სამოქალაქო ალიანსის“ (Civil Alliance of Kazakhstan) საბჭოს წევრი; 10) საზოგადოებრივი ფონდის "საერთაშორისო გამჭვირვალობა - ყაზახეთი" დამფუძნებელი.